

მარიამ ცინცაძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი  
mtsini20@freeuni.edu.ge

## რელიგიის გავლენა ეკონომიკაზე ისლამური ბანკის მაგალითზე

### რეზიუმე

რელიგიის გავლენა სახელმწიფოების მოწყობასა და პოლიტიკაზე საუკუნეების განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა, თუმცა საინტერესოა, რომ მისი როლი ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ეკონომიკასა და ფინანსებში. ამის ყველაზე ცხადი მაგალითი ისლამური ბანკის მოდელია. ისლამური ბანკი მსოფლიოში უკვე არახალი ფენომენია, რომელიც დღესდღეობით სცდება კიდევ ისლამური ქვეყნების საზღვრებს.

პირველი მცდელობა თანამედროვე ისლამური ბანკის შექმნის იყო ეგვიპტეში 1963 წელს და 1967 წლისთვის ქვეყანაში უკვე 9 ასეთი, არაკომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, თუმცა პირველსაწყისები ჯერ კიდევ მოციქული მუჰამედის დროიდან იჩენს თავს. მას შემდეგ, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ფონის ცვლილების პარალელურად, რეგიონში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება არსებითად განსხვავებული ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა მოდელი ცდილობს დაარღვიოს აქამდე არსებული, მე-20 საუკუნის პირველ პერიოდში დანერგილი დასავლური საბანკო სისტემის სპეციფიკა და ეფუძნება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ რელიგიურ კანონებსაც (Hassan and Lewis 2007b).

სტატიაში განხილულია ისლამური ბანკის კონცეფცია, მისი რელიგიური და ფინანსური მახასიათებლებით. ერთი წარმოდგენით შეუძლებელი კოლაბორაცია, მოგების მიღების ელემენტარულ საწყისებსა და შარიათის კანონებს შორის, რამდენიმე ათეული წელია უმტკიცებს მსოფლიოს, რომ შედგა და ამაზე მეტყველებს ისლამური ბანკების გავრცელების ტენდენცია არა მარტო ახლო აღმოსავლეთსა და მუსლიმურ სამყაროში, მის ფარგლებს გარეთ, ევროპასა და ამერიკაშიც კი (Noland and Pack 2007).

**საკვანძო სიტყვები:** რელიგია, ფინანსები, ისლამური ბანკი, რიბა (ბ.) - საპროცენტო განაკვეთი, PLS - მოგება-ზარალის განაწილება.

### რელიგიური კონცეფციები

ისლამი კრძალავს თანხის გაპროცენტებას, პროცენტის როგორც გაცემას, ისე მიღებას, განურჩევლად მიზნებისა და მიზეზებისა. საპროცენტო განაკვეთის შესატყვისად ისლამური ბანკი იყენებს ტერმინ რიბას (ბ.). არაბულად რიბა ნიშნავს გადიდებას, გადაჭარბებას და როგორც წესი, არათანაბარი გაცვლის პირობების დროს გამოიყენება. ანუ, ის აღიქმება უსამართლო, ექსპლუატაციურ მოგებად, რასაც ისლამი მკაცრად კრძალავს. ცხადია, საუკუნეების მანძილზე იყო არაერთი მცდელობა განესხვავებინათ ერთმანეთისგან რიბა და სარგებლის განაკვეთი, თუმცა არ მოიძებნა არცერთი საგულისხმო არგუმენტი, ამიტომ დღემდე ეს ორი ტერმინი ურთიერთიმეცვლელად გამოიყენება (Ariff 1988, 3-5).

რიბას აკრძალვა ყურანში მოხსენიებულია 4 სხვადასხვა გამოცხადებაში<sup>1</sup>. მეორე, „ძროხის“ სურამი, ამ საკითხს ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა და მევახშეები ერთგვარად გათანაბრებულები არიან მათთან, ვინც „მითანმა გააგიჟა თავისი შეხებით“, რადგან სწორედ მათ მსგავსად აღსდგებიან განკითხვის დღეს. აქვე განირჩევა ერთმანეთისგან ვაჭრობა და მევახშეობა. ვაჭრობა ნებადართულია ალაჰის მიერ, ხოლო რიბა-აკრძალული. რიბას ყურანი უპირისპირებს ზაქათს და სანაცვლოდ მოწყალების გაცემისკენ მოუწოდებს მორწმუნეებს, ხოლო ის, ვინც მაინც არ მიჰყვება ისლამის ამ დოგმას, განწირული იქნება მძიმე სასჯელისთვის. ნიშანდობლივია, რომ ყურანი მორწმუნეს მისივე კეთილდღეობისთვის მოუწოდებს უარი თქვას რიბაზე, რადგან ისინი სარგებელს ნახავენ მხოლოდ იმ თანხისგან რაც სამართლიანად ეკუთვნით და ასევე მოუწოდებს უარი თქვას ხელმოკლე მევალისგან აღებულ თანხაზეც, რაც მათ ასევე ზაქათად ჩათვლება (ლობჟანიძე 2006; Quran n.d.).

რიბა აკრძალულია ჰადისებშიც. წინასწარმეტყველი მუჰამედი ამ შემთხვევაში გმობს არამხოლოდ სარგებლის განაკვეთის ამღებსა და გამცემს, მასაც, ვინც რაიმე სახით მონაწილეობს გარიგებაში, იქნება ეს მოწმე თუ გარიგების შემდგენი ან ჩამწერი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცოდვილი გამოდის არაისლამურ ბანკში მომუშავე ყველა მუსლიმი, რადგან ის პირდაპირ ან ირიბადაა დაკავშირებული გაპროცენტებასთან (Esposito 2011).

მნიშვნელოვანია, რომ რიბას აკრძალვა არ ნიშნავს იმას, რომ ისლამში კაპიტალის ფუნქციონირება მიუღებელია. რეალურად, ისლამი აღიარებს კაპიტალს წარმოებისა და მოგების ფორმად, თუმცა არა წინასწარ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის სახით (Ariff 1988). ანუ, კაპიტალის მფლობელს უფლება აქვს მხოლოდ წინასწარ გაურკვეველი მოგების მიღებისა და არ აქვს უფლება, მოითხოვოს ფიქსირებული თანხა. ამ პრინციპს ეწოდება მუდარაბა (مضاربة) და მოქმედებდა ჯერ კიდევ ჯაჰილიას დროს, მოციქულმა მუჰამედმა კი ისლამშიც გადმოიტანა. ისლამში გავრცელებულ პრინციპებს შორისაა ასევე მუშარაჟა (مشارة ან مشاركة) და მურაბაჰა (مرايحة), რომლის რიბასგან განსხვავებაც დღემდე აქტუალური საკითხია (Islahi 2008). მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის კონცეფცია და განსხვავება რიბასგან არცთუ ცხადი იყო თავად ორთოდოქსი მუსლიმებისთვისაც კი, ყურანშიც და ჰადისებშიც ისინი განირჩევიან, რიბა ჰარამადაა მოხსენიებული, ანუ უკანონოდ, მურაბაჰა კი ჰალალად (კანონიერი) და ვაჭრობის ერთ-ერთ თანმდევ ფუნქციონარად აღქმული, რაც როგორც ზემოთ დავაზუსტეთ, დაშვებულია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინასწარმეტყველი მუჰამედის გამონათქვამებშიც მურაბაჰა დაშვებულია და მეტიც, ჰადისების მიხედვით, მოციქული მუჰამედიც სარგებლობდა მურაბაჰას პრინციპით (Khan 2010).

საერთო ჯამში, ისლამში მიუღებელია წინასწარ დადგენილი სარგებლის მიღება ან გაცემა, თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოგების სურვილი და მისი მიღება ცოდვაა. როგორც დავინახეთ, არსებობს არაერთი გზა, როგორ შეიძლება აქციო არსებული კაპიტალი დამატებითი შემოსავლის წყაროდ და თან უფრო სამართლიანად, როგორც ამას ისლამური მოდელი გვიმტკიცებს. ამ ყველაფრის გასაკონტროლებლად 1983 წელს შეიქმნა ფატვისა და შარიათის უმაღლესი სამეთვალყურეო საბჭო. მას რამდენიმე ძირითადი მიზანი ამოძრავებდა. მათგან უმთავრესი, საბჭოს მიზანი იყო არსებული ისლამური ბანკების საქმიანობის მონიტორინგი, მათი საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა, მათი თანხვედრა შარიათის კანონებთან და აქტიური მოქმედება ნებისმიერი სახის დარღვევის ან გადახრის არსებობის შემთხვევაში. კომისიას ჰქონდა შარიათით გათვალისწინებული სამართლებრივი დასკვნის გაცემის უფლებამოსილება ბანკის საქმიანობის შესახებ. დღესდღეობით კომისიის საქმიანობა შეწყვეტილია, რადგან თითოეულ ისლამურ ბანკს ჰყავს საკუთარი შარიათის საკონსულტაციო კომიტეტი, რომლებიც აძლევენ მათ რჩევას და უზრუნველყოფენ, რომ მათი ოპერაციები და საქმიანობა შეესაბამებოდეს შარიათის პრინციპებს (Alharbi 2015, 17-23).

<sup>1</sup> 2: 275 - 2: 280; 3: 125(130); 4: 159(161); 30: 38(39).

### ისლამური ბანკის ფინანსური სტრუქტურა

რელიგიური მახასიათებლების გათვალისწინებით ისლამური ბანკის განსხვავებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არ მოიაზრებს გაპროცენტებას, არის მრავალფუნქციური და არა ერთმნიშვნელოვნად კომერციული და არის მკაცრად ორიენტირებული კაპიტალზე (Ariff 1988). თითოეული ზემოთ ნახსენები რელიგიური დოქტრინა გადაითარგმნა ე.წ. PLS, ანუ მოგებისა და ზარალის განაწილების სისტემაში და ეფუძნება მუდარაბასა და მუშარაქას. PLS არ იყენებს ისეთ ტერმინებს როგორცაა: ვალი, სესხი ან კრედიტორი (Hassan and Lewis 2007a). მისი სტრუქტურა შეიძლება შევადაროთ ერთგვარ ერთობლივ საწარმოს, სადაც პარტნიორები ზარალსაც და მოგებასაც საკუთრების საფუძველზე იზიარებენ. მუშამედ ნეჯათულა სიდიკი, ისლამური საფინანსო სისტემის გამორჩეული მკვლევარი, გვთავაზობს PLS-ის ორსაფეხურიან მოდელს, როგორც რიბასგან თავისუფალი ბანკის საფუძველს (Siddiqi 1983). მოდელის სამირკველი, ანუ ის რასაც უნდა დაეშენოს მთლიანად ისლამური ბანკი, არის მუდარაბა, მეორე საფეხურზე კი ადგილს ინაწილებენ მურაბაჰა, ფულადი ავანსები სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაძენად და აქტივების წარმოებისათვის, იგივე ისთისნა' (استئنا) და იჯარა, რომელიც განირჩევა რიბასგან და ხასიათდება როგორც ქირა. საბანკო საქმეში იჯარა მუშაობს შემდეგნაირად: ბანკები ყიდულობენ საჭირო ტექნიკას, აღჭურვილობას თუ სხვა სახის საქონელს და შემდგომ გასცემენ იჯარით კლიენტებზე, რომელთაც აქვთ საშუალება, ან სამუდამო მფლობელობაში დაიტოვონ პროდუქტი, ან ქირავნობაში, რაც გულისხმობს ყოველთვიური საფასურის გადახდას. ორივე შემთხვევაში დამქირავებელს აქვს უფლება ნებისმიერი გზით გამოიყენონ პროდუქტი, იქნება ეს მისი გადაკეთება თუ ხელახალი გაქირავება, მხოლოდ ისე, რომ არ შეიცვალოს მისი თავდაპირველი ღირებულება. შესაბამისად, PLS პარადიგმის მიხედვით, ისლამური ბანკების აქტივები და ვალდებულებები ინტეგრირებულია იმ გაგებით, რომ მსესხებლები იზიარებენ მოგებასა და ზარალს ბანკებთან, რომლებიც, თავის მხრივ, იზიარებენ მოგებასა და ზარალს მეანაბრებთან (Chong and Liu 2009).

საერთო ჯამში, PLS პარადიგმა თავის თავში მოიაზრებს ყურანსა და ჰადისებში გამართლებულ ნორმებს, რომლებიც მორგებულია ისლამურ ფინანსებზე სარგებლის მისაღებად.

#### 1) მუდარაბა (مضاربة)<sup>2</sup>

ეს არის მოგების განაწილების შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის. მონაწილე მხარეები იყოფა ორ ნაწილად. სიმარტივისთვის, თუ პარტნიორობა ყალიბდება ორ პირს შორის, ერთს ეწოდება რაბბულ-მალ (رب المال), მეორეს - მუდარიბ (مُدْرِب). რაბბულ-მალ არის შეთანხმების პასიური მონაწილე, ის ვინც ფლობს გარკვეულ კაპიტალს და აბანდებს საქმეში, ანუ რაბბულ-მალ არის იგივე კაპიტალის მიმწოდებელი ან ინვესტორი. რაც შეეხება მუდარიბს, ის შეთანხმების აქტიური მხარეა, ანუ კაპიტალის მიმღები, ის პარტნიორი რომელიც რეალურად უძღვება საქმეს, ერთგვარი მენეჯერი. იმისთვის რომ მუდარაბა შედგეს, საჭიროა რამდენიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება. მუდარაბას კაპიტალი არ შეიძლება იყოს მუდარიბის მიერ რაბბულ-მალისთვის გადაუხდელი ვალი. მოგების განაწილების მექანიზმი უნდა იყოს განსაზღვრული წინასწარ, ისე რომ შემდეგ არ წარმოქმნას გაურკვეველობა და დავა. მოგება უნდა განაწილდეს არა კაპიტალის, არამედ მოგების პროცენტის საფუძველზე. ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ, მოგების რა ნაწილი შეხვდება თითოეულს.

მუდარაბას კონტრაქტი ბანკსა და კლიენტს შორის მოიაზრებს მოგების გაზიარებას ისე, რომ ერთ შემთხვევაში, ბანკი ირგებს რაბბულ-მალის, ხოლო კლიენტი - მუდარიბის როლს. ბანკი უზრუნველყოფს პროექტის დასაფინანსებელ კაპიტალს სრულად, ხოლო კლიენტი ახორციელებს პროექტს, ხელმძღვანელობს მის რეალიზებას. პროექტიდან მიღებულ მოგებას ორივე მხარე ინაწილებს წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული, ფიქსირებული კოეფიციენტის საფუძველზე. ზარალის შემთხვევაში, მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრება

<sup>2</sup> იკითხება: მუდარაბა.

ბანკს. ეს უკანასკნელი ირღვევა მხოლოდ მაშინ, როცა დგინდება კლიენტის დანაშაული საქმის წარუმატებლობაში.

შემნახველ ანგარიშებს რაც შეეხება, მუდარაბას საფუძველზე სტრუქტურირდება საბანკო ანგარიშებიც. ამ შემთხვევაში, როლები იცვლება, ბანკები ოპერირებენ როგორც მუდარიბი, ხოლო კლიენტები, როგორც - რაბბულ-მალ. მოცემული კაპიტალი, ცხადია, შარიათის შესაბამისად ინვესტირდება სხვადასხვა აქტივებში. კონცეფცია აქაც ნარჩუნდება, მუდარაბას თითოეული მონაწილის შინაარსობრივი მხარე და პირობები უცვლელია.

მუდარაბას მიხედვითაა მოდელირებული ისლამური ფონდებიც, მოგება პროპორციულად ნაწილდება ინვესტორსა და ბანკს შორის (Iqbal and Mirakhor 2011).

## 2) მუშარაქა (مشرك)

მუშარაქას სტრუქტურა არ მოიაზრებს შინაარსობრივ სხვაობას მხარეებს შორის, თითოეული მოქმედი პარტნიორი უნდა ფლობდეს საწყის კაპიტალს და აბანდებდეს საქმეში, ანუ უნდა იყოს ინვესტორი, ხოლო მოგებაც და ნებისმიერი სახის ზარალიც მათ შორის უნდა განაწილდეს საწყისი კაპიტალის პროპორციულად.

მუშარაქას კონტრაქტების მიხედვით, ბანკი და მეწარმე ერთობლივად აბანდებენ კაპიტალს პროექტში, შესაბამისად ინაწილებენ მისი მართვის სფეროებსაც. ბიზნესპროექტიდან მიღებული მოგება (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნით) ნაწილდება წინასწარ დადგენილი წესით. შედეგად დაარსებული ერთობლივი საწარმო არის დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი და ბანკს აქვს უფლება, ეტაპობრივად, გარკვეული პერიოდის გასვლის, ან პირობების შესრულების შემდეგ. შეწყვიტოს თანამშრომლობა.

## 3) მურაბაჰა (مراعاة)<sup>3</sup>

მურაბაჰას ხელშეკრულების თანახმად, ბანკი ვალდებულია შეიძინოს საქონელი მომხმარებლისთვის და მიყიდოს წინასწარ შეთანხმებულ ფასად, რომელიც აღემატება შემენის ღირებულებას და შეადგენს საწყის ღირებულებას დამატებული ბანკის მოგება. მურაბაჰა ითვალისწინებს გადავადებულ გადახდასაც, ანუ როდესაც საქონლის მიწოდება ბანკის მხრიდან მყისიერია, ხოლო თანხის გადახდა კლიენტის მიერ გადავადებულია ან ნაწილობრივ, ან სრულიად. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დამატებულ თანხას არ აქვს პროცენტის სახე და შეთანხმებულია წინასწარ, არ მოიაზრებს ცვლილებებს და გაურკვეველობას. ძირითადად ისლამური ბანკების პრაქტიკაში მურაბაჰა გამოყენებულია საცხოვრებლისა და სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების დასაფინანსებლად (Iqbal and Mirakhor 2011, 75-92).

## 4) ისთინა' (استئناس)<sup>4</sup>

ისტინა'ს კონტრაქტები, როგორც წესი, ითვალისწინებს გრძელვადიანი გაყიდვის ხელშეკრულებას ბანკსა და მომხმარებელს შორის. ისთინა' ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული, მომგებიანი კონცეფციაა ისლამური ბანკებისთვის. ძირითადად სპეციალიზდება მშენებლობებში, იქნება ეს საცხოვრებელი შენობები, სავაჭრო ცენტრები, ვილები, თვითმფრინავები, გემები, მანქანები თუ სხვა. ამ შემთხვევაში, ბანკი იღებს ვალდებულებას, აწარმოოს კონკრეტული საქონელი, მაგალითად ააშენოს საცხოვრებელი კომპლექტი, წინასწარ განსაზღვრულ ფასად, რომელსაც კლიენტი მომავალში, განსაზღვრულ დროს გადაიხდის (Chong and Liu 2009).

ცხადია, ეს არის ისლამური ბანკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელემენტების არასრული ჩამონათვალი, თუმცა შეიცავს ყველა ფუნდამენტურ კონცეფციას, რომელიც ისლამური ფინანსების უნიკალურობას უსვამს ხაზს.

<sup>3</sup> იკითხება: მურაბაჰა.

<sup>4</sup> ისთინა'.

### ისლამური ბანკები მსოფლიოში

დღესდღეობით, ისლამური ბანკი არ არის მხოლოდ ისლამური ქვეყნების მონაპოვარი და ის გვხვდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტ ქვეყანაში. ამ ქვეყნებში, ისლამური ბანკები თანაარსებობენ ტრადიციულ ბანკებთან და უძლებენ მათ კონკურენციას, რაც უკვე მინიშნებს მის მედეგობაზე. ცხადია, მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ მუსლიმთა წილიც მსოფლიოს მოსახლეობაში, მათი რიცხვი დღეის მდგომარეობით აჭარბებს ორ მილიარდ ადამიანს რაც, დაახლოებით, მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს წარმოადგენს და ისლამს ქრისტიანობის შემდეგ მეორე ყველაზე გავრცელებულ რელიგიად აყალიბებს.

ლოგიკურია, ისლამური ბანკების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია ახლო აღმოსავლეთში, თუმცა მისი მუშაობის ობიექტური შეფასებისთვის მის ფარგლებს გარეთ არსებული ბანკების კვლევაა საჭირო. 2004 წელს ბრიტანეთის ისლამური ბანკი გახდა პირველი არამუსლიმური ქვეყნის მიერ ლიზენცირებული ბანკი და აქტიურად ჩაერთო ისლამურ საბანკო საქმიანობაშიც. მანამდე, ჯერ კიდევ 1978 წელს, დასავლურ სამყაროში, კერძოდ ლუქსემბურგში, პირველად ჰქონდა ადგილი ისლამური საბანკო სისტემის დანერგვის მცდელობას. 2005 წელს დაარსდა ევროპის ისლამური საინვესტიციო ბანკიც და როგორც ამას ყოველწლიური დინამიკა გვიჩვენებს, ისლამური ფინანსები ევროპაში ძალიან სწრაფად ვითარდება, მსგავსი ტენდენცია გრძელდება დღემდე და უკვე არაერთი წამყვანი ევროპული ქვეყანა დგამს ნაბიჯებს ისლამური ფინანსების მოდელის დასაწერად (Alharbi 2015).

რაც შეეხება ამერიკას, ისლამური ფინანსების დანერგვა შეერთებულ შტატებში დაიწყო ვაშინგტონსა და კალიფორნიაში თითქმის თანადროულად, 1986-1987 წლებში. 1999 წლიდან უკვე ბანკები აქტიურად იყვნენ ჩართული მურაბაჰაზე დაფუძნებულ გარკვეულ საფინანსო ოპერაციებში, ხოლო დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალური მუშარაჰას ხელშეკრულებებია. ნიშანდობლივია, რომ წლების განმავლობაში რეგიონის ერთ-ერთ ლიდერ ისლამურ ბანკს ჩიკაგოში ებრაული ოჯახის მიერ დაფუძნებული Devon Bank წარმოადგენს. ისლამური ბანკი პოპულარობას არ უჩივის კანადაშიც (Alharbi 2015).

ცალკე აღსანიშნია მალაიზიის ისლამური საფინანსო სტრუქტურა და აქ მოქმედი ისლამური ბანკები. პირველი ისლამური საფინანსო ინსტიტუტი მალაიზიაში 1983 წელს ყალიბდება. მანამდე, 1963 წელს შეიქმნა ერთგვარი შემნახველი კორპორაცია, რომლის მიზანიც ადამიანების დახმარება იყო ჰაჯის შესასრულებლად. დღეს ის განიხილება ისლამური საფინანსო ინდუსტრიის ცენტრად, ამიტომაც ისლამური ბანკის კონცეფციის მკვლევრებისთვის მთავარი დაკვირვების ობიექტი, ყველაზე ხშირად სწორედ მალაიზიაა (Mokhtar, Abdullah, and Al-Habshi 2006).

საკვლევი კითხვა როგორც წესი ისლამური ბანკების წინაშე არსებულ გამოწვევებს, მის პერსპექტივებსა და მედეგობას უნდა ეხებოდეს, თუმცა ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვებია: არის კი რეალურად განსხვავებული ისლამური ბანკის მოდელი, თუ მისი განსაკუთრებულობა უცნობი ტერმინებით შემოიფარგლება? ან, ასრულებს კი ისლამური ბანკი შარიათის კანონების თანახმად დაწესებულ ნორმებს თუ უბრალოდ გრაციოზულად უვლის მას გვერდს? და რითია განპირობებული მისი წარმატება, აქვს კი რაიმე სახის შედარებითი უპირატესობა ისლამურ მოდელს ტრადიციულთან (Azmat, Skully, and Brown 2015)?

საერთო ჯამში, პასუხები ყოველთვის ციფრებშია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ბანკებსა და ფინანსებს ეხება. ფაქტია, ზემოთ დასმული თითოეული საკვლევი კითხვა საფუძვლიან კვლევასა და ღრმა ანალიზს საჭიროებს, თუმცა არსებული მონაცემების საფუძველზე ნათელია, რომ ისლამური ბანკი მსოფლიო საფინანსო სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და შეიძლება ითქვას, რომ მის წინაშე არსებული გამოწვევები გადაწონილია მისი პოზიტიური სამომავლო პერსპექტივებით (Abedifar, Molyneux, and Tarazi 2013). რელიგიის გავლენა ეკონომიკასა და ფინანსებზე კი მართლაც მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი, თუმცა მეტად კულუარულია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ლობჯანიძე, გიორგი. 2006. *ყურანი*. თბილისი: კავკასიური სახლი.
- Abedifar, Pejman, Philip Molyneux, and Amine Tarazi. 2013. "Risk in Islamic Banking." *Review of Finance*, Vol. 17, Issue 6 (November): 2035-2096. <https://doi.org/10.1093/rof/rfs041>.
- Alharbi, Ahmad. 2015. "Development of the Islamic Banking System." *Journal of Islamic Banking and Finance* (American Research Institute for Policy Development), Vol. 3, No. 1 (June): 12-25. [http://jibfnet.com/journals/jibf/Vol\\_3\\_No\\_1\\_June\\_2015/2.pdf](http://jibfnet.com/journals/jibf/Vol_3_No_1_June_2015/2.pdf).
- Ariff, Mohamed. 1988. "Islamic Banking." *Asian-Pacific Economic Literature (APEL)*, Vol. 2, No. 2 (September): 48-64. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1467-8411.1988.tb00200.x>.
- Azmat, Saad, Michael Skully, and Kym Brown. 2015. "Can Islamic Banking Ever Become Islamic?" *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 34 (September): 253-272. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0927538X15000359>.
- Chong, Beng Soon, and Ming-Hua Liu. 2009. "Islamic Banking: Interest-Free or Interest-Based?" *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 17, Issue 1 (January): 125-144. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0927538X08000036>.
- Islahi, Abdul Azim. 2008. "Islamic Finance: Law, Economics and Practice by Mahmoud A. El-Gamal. Cambridge University Press, Cambridge, New York. 2006, 221 pp." *Journal of King Abdulaziz University - Islamic Economics*, Vol. 21, No. 2: 97-108.
- Esposito, John L. 2011. *What Everyone Needs to Know about Islam*. Oxford, New York: Oxford University Press.
- Hassan, M. Kabir, and Mervyn K. Lewis, eds. 2007a. "Glossary." In *Handbook of Islamic Banking*, xvii-xviii. Elgar Original Reference. Cheltenham, UK - Northampton, MA, USA: Edward Elgar.
- Hassan, M. Kabir, and Mervyn K. Lewis, 2007b. "Islamic Banking: An Introduction and Overview." In *Handbook of Islamic Banking*, edited by M. Kabir Hassan and Mervyn K. Lewis, 1-17. Elgar Original Reference. Cheltenham, UK - Northampton, MA, USA: Edward Elgar.
- Iqbal, Zamir, and Abbas Mirakhor. 2011. *An Introduction to Islamic Finance*. Singapore: John Wiley & Sons (Asia) Pte. Ltd.
- Khan, Feisal. 2010. "How 'Islamic' is Islamic Banking?" *Journal of Economic Behavior & Organization*, Vol. 76, Issue 3 (December): 805-820. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0167268110001940>.
- Mokhtar, Hamim S. Ahmad, Naziruddin Abdullah, and Syed M. Al-Habshi. 2006. "Efficiency of Islamic Banking in Malaysia: A Stochastic Frontier Approach." *Journal of Economic Cooperation* 27, 2: 37-70.
- Noland, Marcus, and Howard Pack. 2007. *The Arab Economies in a Changing World*. Washington: Peter G. Peterson Institute for International Economics.
- Quran*. n.d. <https://quranonline.net/al-baqarah/> (accessed June 30, 2023).
- Siddiqi, Muhammad Nejatullah. 1983. *Issues in Islamic Banking*. London: The Islamic Foundation.